სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა

სასკოლო გეგმაში მოსწავლეთა შეფასების სისტემა შესაბამისობაშია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით ჩამოყალიბებულ მოსწავლეთა შეფასების სისტემასთან კერძოდ: თავი VII მუხლი 27-40.

შეფასების ფორმებისა და მეთოდების შერჩევის, მოსწავლეთა საჭიროებებისა და შესაძლებლობაზე მორგების გამოცდილების შესწავლა, შეფასება, გაზიარება ყველა კათედრაზე გახორციელდა, მომზადდა ფლიფჩარტი, ელექტრონული ვერსიები.

მოსწავლეთა შეფასების გამჭვირვალეობისათვის არსებული შეფასების სისტემა გაეცნო მოსწავლეებს, მშობლებს, საფეხურისა და საგნების მიხედვით. გაეცნო კომპლექსური დავალებების დანერგვისა და შესაძლო რისკების შესახებ.

მოსწავლეთა შეფასება გამოყენებულია მოსწავლეთა მიერ მიღწეული შედეგების გასაუმჯობესებლად. მიღწეული დონის ერთ- ერთი განმსაზღვრელია მოსწავლეთა მონაწილეობა კონკურსებსა და ოლიმპიადებში.

დაწყებით კლასებში დანერგილია სასწავლოს წლის შემაჯამებელი შეხვედრები.,, მიღწეული შედეგით სიხარულის განცდა''.

მიმდინარე სასწავლო წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო განმავითარებელი შეფასების ფორმებისა და მეთოდების დანერგვის ხარისხის ამაღლებას, რომელიც კომპლექსური დავალებების შემუშავებისა და გამოყენებისათვის აუცილებელი პირობაა.

შესწავლილი და გაანალიზებული იქნა მეთოდური ლიტერატურა, წარმატებული გამოცდილება, ტრენინგზე მიღებული გამოცდილება და შერჩეული იქნა განმავითარებელი შეფასების ფორმები და მეთოდები გამოყენებისათვის. ამ მიმართულებით ძიება, განვითარება გრძელდება.

სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა.

სასკოლო გეგმაში მოსწავლეთა შეფასების სისტემა სრულ შესაბამისობაშია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოსწავლეთა შეფასების სისტემასთან.
კერძოდ, თავი VII- მოსწავლეთა შეფასების სისტემა.

მუხლი 27. მოსწავლის შეფასების მიზნები,პრინციპები, ამოცანები.

მუხლი 28. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება კლასში.

მუხლი 29. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების აღწერილობა.

მუხლი 30. აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა.

მუხლი 31. შეფასება დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე.

მუხლი 32. მოსწავლის შეფასების კომპონენტები.

მუხლი 33. განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები.

მუხლი 34. ქულების გაანგარიშების წესი.

მუხლი 35. კლასისა და საფეხურის დაძლევა.

მუხლი 36. სკოლაში გამოცდები არ არის დაგეგმილი.

მუხლი 37. მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება.

მუხლი 38. გაცდენები.

მუხლი 39. შინ სწავლება.

მუხლი 40. საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი და პროცედურა.

მოსწავლეთა შეფასების გამჭვირვალეობა

სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს, მშობლებს გაეცნოს სკოლაში არსებული შეფასების სისტემა. საფეხურებისა და საგნების მიხედვით.
შეფასება რუბრიკების , სქემების, ცხრილების, თვითშეფასების ფორმები, მეთოდები განთავსდა კლასების შეტყობინების ჯგუფში. მომზადდება ფლიფჩარტის

(ბეჭდური ვერსია).

სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს მიეწოდება ინფორმაცია შეფასებაში ახალი ფორმის- კომპლექსური დავალებების დანერგვისა და შესაძლო რისკების შესახებ.

სკოლის მიერ განსაზღვრული შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები და ჩატარების ფორმები.

მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება, რომელიც შესაბამისობაშია ე.ს.გ. დადგენილ სავალდებულო მინიმუმთან.

თუ მოსწავლე ვერ ასრულებს რომელიმე შემაჯამებელ დავალებას გაცდენის გამო, მას ეძლევა შემაჯამებელი დავალების აღდგენის საშუალება.

შემაჯამებელი დავალების აღდგენის ვადა განისაზღვრება ჩატარებიდან ორი კვირის განმავლობაში. დასაშვებია ვადის გახანგრძლივება მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით.

მოსწავლის სხვა სკოლიდან მობილობის შემთხვევაში დასათვლელია გამშვებ სკოლაში დადგენილი წესი და მოსწავლის მიერ შესრულებული და ჩვენს სკოლაში მოსწავლის გადმოსვლის მომენტიდან ჩატარებული და მის მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები.

გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენა ხდება იმავე ფორმით, როგორითაც ჩატარდა. დასაშვებია ცვლილებების შეტანა მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით.

გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების შესრულებისათვის იქმნება ნორმალური პირობები: სიმშვიდე, რესურსები, დამოუკიდებლად შესრულების აუცილებლობა.